სააბონენტო ხელშეკრულება

საკაბელო ქსელით მაღალხარისხიან სატელევიზიო მომსახურების შესახებ

"20" ოქტომბერი 2016წ

ქ. გორი

ერთის მხრივ შპს ტელეკომპანია "დია"წარმოდგენილი მისი დირექტორი მაია ტატულაშვილის სახით
შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია" და მეორეს მხრივ გორის მუნიციპალიტეტის
გ. პაპიტაშვილის სახ. ჭიდაობის კომპლექსური სპ. სკოლა. მისამართი: გორი მშვიდობის ქ. №12ა.
დირექტორი ანზორ თენაძე. ს/კ 417882848

1.ხელშეკრულების საგანი.

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "კომპანია" ახორციელებს "აბონენტისთვის" საკაბელო
ტელევიზიის მიწოდებას, რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით.
1.2 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. გორი მშვიდობის ქ. №12ა. აბონენტის მიერ მომსახურების
მიწოდების ადგილის მისამართის შეცვლა თვითნებურად დაუშვებელია.
1.3 მხარეები თანხმდებიან, რომ "კომპანია" უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების
პაკეტი ან/და მისი შემადგენლობა, რის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს "აბონენტს" 10 (ათი) დღით
ადრე.

2. მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოწყობილობანი

2.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით "აბონენტი" იმავდროულად გამოთქვამს თანხმობას მასზედ, რომ
"კომპანიამ" მომსახურების მიწოდების მიზნით ყველა აუცილებელი საჭირო მოწყობილობა 10 (ათი) დღის
განმავლობაში დაამონტაჟოს (განათავსოს) "აბონენტის" მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ
ქონებაზე ან/და შენობის ყველა იმ ნაწილზე (შენობის კედელი, სადარბაზო, სხვენი და სხვა), რომელიც
აუცილებელია "აბონენტისათვის" მომსახურების მისაწოდებლად. იმ შემთხვევაში თუ აბონენტის უფლება
სრულად არ ვცელდება უძრავ ქონებაზე, მაშინ აბონენტის მიერ გამოთქმული თანხმობა ვრცელდება
უძრავ ქონებაში არსებულ მის ნაწილზე.
2.2 მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანიის" მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისსად დამონტაჟებული
ყველა მოწყობილობა წარმოადგენს „კომპანიის" საკუთრებას და „აბონენტს" ის გადაეცემა დროებით
სარგებლობაში.

3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

3.1 მომსახურების ღირებულება 3 (სამი) სატელევიზიო წერტილზე შეადგენს ერთი კალენდარული წლის
განმავლობაში 120 (ასოცი) ლარს.
3.2 „აბონენტი" ვალდებულია „კომპანიის" წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში გადაუხადოს
მინიმუმ 30 კალენდარული დღის მოსახურების ღირებლება. იმ შემთხვევაში თუ პირველი 30
კალენდარული დღის განმავლობაში „აბონენტი" საკუთარი ინიციატივით ცალმხრივად შეწყვეტს
ხელშეკრულებას, გადახდილი თანხა უკან არ უბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც
ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებულია „კომპანიის" მიერ მომსახურების მიწოდებაში არსებული
ტექნიკური ხარვეზების გამოუსწორებლობით.
3.3. მოსამხურების გადასახადს "აბონენტი" იხდის წიანსწარ ყოველი საანგარიშო თვის დაწყებამდე.
"აბონენტის" მიერ ყოველთვიურად კუთვნილ ანგარიშზე დეპონირებული თანხა არ შეიძლება იყოს 30
კალენდარული დღის მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები. აბონენტისთვის თანხის უკან დაბრუნება
არ დაიშვება. გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
3.4. საკაბელო ტელევიზიის ქსელში ხელმეორედ ჩართვისას "აბონენტი" "კომპანიას" უხდის დარიცხულ
ვალს (არსებობის შემთხვევაში) და 30 ლარს. ხელმეორედ ჩართვას უთანაბრდება ისეთი შემთხვევებიც,
როდესაც საკაბელო მომახურების მიწოდება, კონკრეტულ მისამართზე, განხორციელებული იყო სხვა
პირის შეკვეთით, თუმცა ახალი შეკვეთა, იგივე მისამართზე, მოთხოვნილია სხვა პირის მიერ.
3.5. მხარეები თანხმდებიან, რომ "კომპანია" უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ამ
ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი ტარიფი მათ შორის არა მხოლო, მომსახურების გადასახადის
ოდენობა, მისი გადახდის წესი და პირობები, რის შესახებ ვალდებულია ერთი თვით ადრე შეატყობინოს
აბონენტს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. "კომპანია" ვალდებულია

4.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუმონტაჟოს "აბონენტს" მოწყობილობები და
ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს "აბონენტებისათვის" ხარისხიანი
მომსახურების მიწოდება.
4.1.2. "აბონენტის" შეტყობინების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში (არაუგვიანეს 2-3
დღის ვადისა) აღმოფხვრას მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული დაზიანება.
4.1.3. ხელშეკრუელების მოქმედების განმავლობაში მოემსახუროს "აბონენტს" ცხელი ხაზის მეშვეობით.

4.2. "კომპანია" უფლებამოსილია

4.2.1. პოფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას დროებით შეაჩეროს ან შეუზღუდოს მოსამხურების მიწოდება.

4.2.2 სამაუწყებლო ან უფლებამფლობელი სხვა კომპანიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, სატელევიზიო არხის ან მისი შემადგენელი ცალკეული გადაცემების ჩვენების უფლების დაკარგვის შემთხვევაში შეწყვიტოს მისი მიწოდება ან ჩაანაცლოს იგი სხვა გადაცემით. მხარეები თანხმდებიან, რომ "კომპანია" მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილია იმ შემთხვევაში თუ სატელევიზიო არხის შემადგენელი ცალკეული გადაცემების ჩვენება დაუშვებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს აკრძალვის ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გამო.

4.2.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაიბრუნოს ყველა ის მოწყობილობა, რომელიც ხელშეკრულების შესრულების მიზნით გადაეცა "აბონენტს" დროებით სარგებლობაში.

4.3 აბონენტი ვალდებულია

4.3.1 აწარმოოს ანგარიშწორება კომპანიასთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

4.3.2 შეატყობინოს კომპანიას მომსახურების მიწოდებაში რაიმე შეფერხების შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შეუწყოს ხელი კომპანიის თანამშრომლებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებაში.

4.3.3 აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი რომელიც საკუთარი ქმედებით განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიადგა "კომპანიის" კუთვნილ მოწყობილობებს.

4.3.4 არ განახორციელოს მოწყობილობის თვითნებური გადაადგილება მონტაჟი ან დემონტაჟი

4.3.5 არ განახორციელოს მომსახურების მიყიდვა ან რაიმე ფორმით გადაცემა, მიწოდება ან გაყოფა მესამე პირებისთვის წინააღმდეგ შემთხვევაში აბონენტი დაჯარიმდება 50 ლარით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. "კომპანია" პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და მასზედ, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს მომსახურებაში არსებული შეფერხებების ან ნაკლოვანებების აღმოფხვრას და ქსელის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას.

6. დავის გადაწყვეტა

6.1. მხარეები სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძელზე "აბონენტს" უფლება აქვს შესაბამისი საჩვრით მიმართოს "კოპანიას", საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას ან სასამართლოს. კომპანია დავას განიხილავს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით დადგენილი წესით 15 დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება 30 დღის ვადაში გასაჩივრდეს საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში ან სასამართლოში.

6.2. "აბონენტს" უფლება აქვს საერთო წესით პირდაპირ მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე არცერთი მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკერულებიდან გასვლის სურვილს, ხელშეკრუელბა ავოტმატურად გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით.

7.2. "აბონენტი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრუელბა რის შესახებაც ვალდებულია აცნობოს "კომპანიას" წერილობით 1 თვით ადრე.

7.3. "კომპანია" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ვალდებლულია "აბონენტს" შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს შეწყვეტის თარიღის დადგომიდან 1 თვით ადრე.

7.4 "კომპანია" უფლებამოსილია "აბონენტის" მიერ მომსახურების გადასახადის 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოახდინოს დემონტაჟის აქტის შედგენა რის შემდეგ მომსახურების მიწოდება "აბონენტებისათვის" ითვლება შეწყვეტლად.

8. ზოგადი დებულებები

8.1. მხარეები თანხმდებიან რომ ის ურთიერთობანი რომელიც არ იქნება მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით რეგულირებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. "კომპანია" უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის შეტყობინება აბონენტს მისი არჩევით გაუგზავნოს ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ რომელიმე მისამართზე: ტელეფონის ნომერზე, ელექტრონულ ფოსტაზე, რეგისტრაციის ადგილზე, ან მომსახურების მიწოდების ადგილზე. მათი შეცვლის შემთხვევაში "აბონენტი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს "კომპანიას" აღნიშნულის შესახებ წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

შპს ტელეკომპანია „დია"
ქ.გორი ბაგრატიონის 1, №46
ტელ: 22-60-68

აბონენტი